პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	განათლების ფსიქოლოგია Educational Psychology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი / Master of Educational Psychology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	120 კრედიტი: 75 კრედიტი სავალდებულო, მათ შორის: • 35 კრედიტი სავალდებულო სალექციო კურსები; • 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი; • 10 კრედიტი - პრაქტიკა; 35 კრედიტი არჩევითი კურსი; 10 კრედიტი - თავისუფალი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**პროგრამის ხელმძღვანელი - მზია წერეთელი** ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. **პროგრამის ხელმძღვანელი - ია აფთარაშვილი** ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე განაცხადის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც ავტორიზებულ უნივერსიტეტში მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ასევე სოციალურ მეცნიერებებში. სამუშაო გამოცდილების ქონა აუცილებელი არ არის. პროგრამაზე ჩაბარების მოთხოვნაა ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდებზე მინიმალური ქულის მიღება. ჩარიცხვა ხდება სპეციალობის და ინგლისური ენის (B2) გამოცდის შედეგების მიხედვით. მაგისტრატურაში ჩამბარებელმა უნდა წარმოადგინოს ცნობები სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით ექსპედიციებში, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების, განხორციელებული ემპირიული კვლევების შესახებ და სხვა (არსებობის შემთხვევაში). მსგავსი ინფორმაცია საგამოცდო შეფასებაზე გავლენას არ ახდენს, თუმცა, გამოიყენება როგორც დამატებითი შეფასება იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო პროგრამის აპლიკანტები მიიღებენ თანაბარ ქულებს.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	• მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კვალიფიციური სპეციალისტი შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებათა სისტემით განათლების ფსიქოლოგიაში. კურსდამთავრებულს

	შესძინოს საფუძვლიანი ცოდნა, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები მთელი ცხოვრების მანძილზე, როგორ უკავშირდება და რა ზეგალენას ახდენს ერთმანეთზე სწვლისა და სწავლების პროცესები და მათთან დაკავშირებული ფაქტორები, როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში; • კურსდამთავრებული აღჭურვოს პრაქტიკული უნარებითა და ინსტრუმენტებით, რომლითაც შეძლებს ფასილიტაცია და მხარდაჭერა გაუწიოს ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრის პროცესებს ყველა დონეზე (ნანო - მაკრო); • კურსდამთავრებულმა შეძლოს დაეხმაროს და მხარდაჭერა გაუწიოს სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს (ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული გაერთიანებები, საჯარო სექტორები და სხვა) თუ ადამიანურ კაპიტალს განვითარებასა და ზრდაში; • მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა საგანმანათლებლო კვლევებისა და შეფასებების კონცეფციის შემუშავებისა და განვითარებისთვის.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	სტუდენტი: • სიღრმისეულად გაიაზრებს განათლების ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, მნიშვნელობას და ადგილს მეცნიერების სიტემაში, დარგის სფეროებს, ამოცანებს და კვლევის მეთოდებს; • სიღრმისეულად აანალიზებს სწავლა-სწვალების ძირითად მიდგომებსა და მიმართულებებს, მათ შორის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფიას და სისტემებს, მათ როლს განათალების თანამედროვე პარადიგმაში; • კრიტიკულად მსჯელობს პიროვნების კოგნიტური და ფსიქო-სოციალური განვითარების ეტაპებზე, მათ როლსს და მნიშვნელობაზე სწავლა-სწვალების პროცესში; • სიღმისეულად გაიაზრებს კვლევის და შეფასების არსს, სხვადასხვა დიზაინს, მეთოდოლოგიას და მათ მნიშვნელობას და აპლიკაციას განათლებაში.
უნარები	სტუდენტს შეუძლია: • განათლების სფეროში არსებული სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის პრობლემის იდენტიფიცირება, გაანალიზება და შესაბამისი გადაჭრის გზების მოძიება • ემპირიული კვლევის პროფესიულ დონეზე შესრულება, სტატისტიკური აპარატის შერჩევა, მონაცემების გაანალიზება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, კვლევის შედეგების ინტერპტერირებას ეთიკის ნორმებისა და სტანდარტების დაცვით. • თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების პროფესიული მიზნებისათვის გამოყენება, მეცნიერული პროდუქტის პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან გაზიარება;

	• სწავლებისა და განათლების პოლიტიკის შექმნაზე პასუხისმგებელ დაწესებულებებს გაუწიოს პროფესიულ კონსულტირება კვლევის, შეფასები, სწავლა-სწავლების და კოგნიტური და ფსიქოსოციალური განვითარების საკითხებზე
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	სტუდენტს შეუძლია: • პროფესიული ეთიკის დაცვით დარგის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება და დამუშავება, პასუხიმგებლობის აღება მის მიერ განხორციელებულ კვლევით და სამეცნიერო აქტივობებზე; • ინტერგრირება ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ წრეებში
სწავლა/სწავლების მეთოდები	• ახსნა-განმარტებითი მეთოდი; • დემონსტრირების მეთოდი; • შემთხვევის შესწავლა (Case Study); • გონებრივი იერიში (Brain Storming); • შედარებითი ანალიზის მეთოდი; • ინდივიდუალური მუშაობა; • ჯგუფური მუშაობა; • დისკუსია/დებატები; • პრეზენტაცია; • თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); • ლაბორატორიული მეთოდი; • პრაქტიკული მეთოდი; • პროექტი; • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; • ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; • აუდიო-ვიზუალური მეთოდი; • წიგნზე მუშაობა; • წერითი მუშობა; • ელექტრონული სწავლება (e-learning).
შეფასების წესი	ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

	ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის 50% +1 ქულა. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, მათ შორის დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილია მაქსიმუმ 40 ქულა (დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%). შეფასების ფორმები, შეფასების კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
დასაქმების სფეროები	დღეს საქართველოში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც მოიცავს განათლების სისტემის ყველა რგოლს დაწყებული საბავშვო ბაღიდან დამთავრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებით, რეფორმა პიროვნების განვითარებაზეა ორიენტირებული და გულისხმობს ყველა მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებას სწავლებისას, ახალი სასწავლო გეგმების, მართვის ახალი სტილის, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვას და სხვა. ყოველივე ეს განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის სასწავლო პროცესში კვალიფიციური, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი განათლების ფსიქოლოგიის სპეციალისტის მონაწილეობას. პროგრამის კურსდამთავრებულები შესაძლებელია დასაქმდნენ შემდეგი მიმირთულებებით: • სახელმწიფო და არასამთვარობო საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფსიქოლოგი, როგორიცაა მაგ., განათლების სისტემის ფსიქოლოგი, სკოლის ფსიქოლოგი, პროფესიული საგანამანთლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიი, ზდასრულთა განათლებაზე პასუხისმგებლი დაწესებულებების ფსიქოლოგი და სხვა. • საგანმანათლებლო მეთოდოლოგიური, სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე რესურსების შექმნასა და მათ ვალიდაციასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებსა და პროცესებში, როგორიცაა მაგალითად გამომცემლობები, საავტორო უფლების მქონე საჯარო სექტორები და კერძო ორგანიზაციები და სხვა.

	• სასწავლო პროგრამების, კურიკულუმების, შემუშავებას, განვითარებას, დანარგვასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელ დაწესებულებებში, როგორიცაა მაგ., საჯარო სამსახურები (სამინისტროები, სსიპები, სასწავლო დაწესებულებები და ა.,შ.), არასამთავრობო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები. • საგანმანათლებლო კვლევასა და სასწვალო პრაქტიკის შესწავლსათან დაკავშირებული ორგანიზაციები, როგორიცაა ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები, საგანმანათლებლო გრანტებისა და სტიპენდიების მართვასთან დაკავშირებული ორგანიზაციები და სხვა. • სწავლა-სწავლებასა და მასთან დაკვშირებულ კონტექსტურ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურება, როგორიცაა ოჯახების, სასკოლო საზოგადოების (მოსწვალე, მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომაგდენელი, მშობელი), უმაღლესი და პროფესიული დაწესებულების წარმომადგენლების, სტუდენტების, განათლების საკითხებით დაინტერსებული საჯარო თუ არასამთვარობო, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კონსულტირება. ასევე, კურსდამთვარებულს შეეძლება განაგრძოს აკადემიური კარიერა დოქტორანტურის საფეხურზე.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 11(, 4 სრული პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი), ხოლო 6 მოწვეული მასწავლებელი. პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში, ჭავჭავაძის გამზ. 11 ა. აღსანიშნავია, რომ კორპუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კაპიტალურად გარემონტდა 2016 წელს. განახლების შედეგად ფაკულტეტის სარგებლობაში მყოფი შენობა და მიმდებარე ტერიტორია სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, როგორიცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა. პროგრამის მიზნებს ემსახურება უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და

	აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სტუდენტები **პრაქტიკას** გაივლიან განათლების და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში, ასევე სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და დღის ცენტრში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაინტერესების შემთხვევაშ ისარგებლონ განათლების და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის **სტაჟირების** სისტემით, რაც გულისხმობს საუნივერსიტეტო რეკომენდაციის შემთხვევაში მინისტრის ბრძანებით სტაჟირების გავლას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ფსიქოლოგია.**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **განათლების ფსიქოლოგია**
სწავლების საფეხური:**მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი: **ია აფთარაშვილი, ასოცირებული პროფესორი;** თანახელმძღვანელი: **მზია წერეთელი, პროფესორი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი: დადგენილება 69/2021; 29 ივლისი 2021 წელი (დანართი 230), 61/2022, 26.07.2022 (დანართი 230)

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2021-2022 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS) სამაგისტრო პროგრამა შედგება 75 სავალდებულო კრედიტისგან (მათ შორის, 35 კრედიტი სავალდებულო სალექციო კურსები, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი და 10 კრედიტი - პრაქტიკა), 35 კრედიტი არჩევითი კურსია, ხოლო 10 კრედიტი - თავისუფალი.									
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი			შემოდგომა	გაზაფხული	
	სავალდებულო კურსები								
1	განათლების ფსიქოლოგია I	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ლაბარტყავა
2	განათლების ფსიქოლოგია II	5	15	15	95	განათლების		✓	მზია წერეთელი;

						ფსიქოლოგია 1			ია აფთარაშვილი
3	სტატისტიკური მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან მანჯგალაძე
4	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		მზია წერეთელი
5	სპეციალური სტატისტიკური პროგრამა სოციალური მეცნიერებებისათვის SPSS	5	30	30	65	სტატისტიკური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში		✓	ივანე კეჭაყმაძე
6	ზრდასრულთა სწავლის ფსიქოლოგია	5	15	15	95	განათლების ფსიქოლოგია 2	✓		მზია წერეთელი ია აფთარაშვილი
7	შეფასება განათლებაში	5	15	15	95	განათლების ფსიქოლოგია 2; რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები	✓		მზია წერეთელი ია აფთარაშვილი
	სავალდებულო არჩევითი (სულ 10 კრედიტი, ჩამოთვლილიდან - ერთი)								
8	პრაქტიკა - განათლების პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში (პრაქტიკა სკოლაში)	10	-	60	190	განათლების ფსიქოლოგია 2	✓		სოფიო თევდორაძე
9	პრაქტიკა – ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლებაში	10		60	190	ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლება	✓		ანა ლაღიძე
10	პრაქტიკა – განათლების კვლევები და შეფასებები (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების	10		60	190	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები	✓		ია აფთარაშვილი

	დეპარტამენტი)								
11	პრაქტიკა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან	10		60	190	განათლების ფსიქოლოგია 2	✓		თამარ მაღლაკელიძე
	არჩევითი კურსები								
12	ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლება	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ანა ლაღიძე
13	კვლევის ნარატიული მეთოდები	5	15	15	95	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები	✓	✓	ეკა ფირცხალავა
14	კვლევითი პრაქტიკუმი	10	-	60	190	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები	✓	✓	მზია წერეთელი
15	ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდები ბავშვებისა და მოზარდებისთვის	5	15	15	95	განათლების ფსიქოლოგია 1; რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები	✓	✓	სოფიო თევდორაძე
16	სკალირების მეთოდები	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	რევაზ ჯორბენაძე
17	ფსიქომეტრია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ია კუტალაძე
18	საგანმანათლებლო სისტემებისა და სასკოლო განათლების ხარისხი	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ია აფთარაშვილი
19	ჯგუფური მუშაობის მეთოდები ბავშვებთან	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა მელიქიშვილი

20	პროფესიული ინგლისური ენა ფსიქოლოგებისთვის	5		45	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნელი მერაბიშვილი
21	კომუნიკაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნატა ასათიანი
22	პიროვნება და ინდივიდუალური განსხვავებები	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ხათუნა მარწყვიშვილი
23	მოტივაცია და ქცევა	5	15	15	95	განათლების ფსიქოლოგია 2	✓	✓	ლაშა ხოჯანაშვილი
24	კონფლიქტების პრევენცია და მართვა საგანმანათლებლო სისტემაში	5	30	15	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გუგული მაღრაძე; ქეთევან ვასაძე
25	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე			ლალი სურმანიძე
	თავისუფალი კრედიტი	5					✓	✓	
	თავისუფალი კრედიტი	5					✓	✓	
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**						✓	

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

პროგრამის თანახელმძღვანელის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი